



# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგთბიღ ბეჭდუბი სიფყაა, ფყდილებით და ჭბბბბით ბუბთის გაცანა ყუულა უკადბისბბბე უსაბაგლყსია.


**დაარსებულია**  
 1918 წელს.
 

**სუბაბაბი,** 18 დეკემბერი, 2014 წელი.  
 №255 (7636)

# რესპუბლიკა


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge
 ვებ გვერდი: [www.open.ge](http://www.open.ge)
ფასი 50 თეთრი.

**ვახბანბ ძაბირაძე:**



**რიგბარეუბ**  
**არჩევენებს**  
**ისეუ**  
**„ოცნება“**  
**მოიბებს...**

**მერაბ ტურავე:**



**საკონსტიტუციო**  
**სასამართლო**  
**თავის თავზე ფილტრის**  
**ფუნქცია უნდა აიღოს**


**რბ დბბრბ**  
**საქართველო**  
**აუბ-ის მთაბარი**  
**მოკაბუბირის**  
**სტატუსის**  
**მიუღებლობით?**

**რბტომ ფერხღებ**  
**სნრბფი**  
**მართლმსაჯულებ?**




**„თუ ჭიღაობა დავინყუთ,**  
**ბაუბინ უბბი არს**  
**იბათ ბქნებბთ**  
**და არს ჩვენ“**

**მადლიერების გამოხატვის დრო**



**„მე თქვენ ყველას მეგობრებად და მოჯახის წევრებად გთვლით“**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს 2014 წლის მიღწევებზე და მომდევნო წლის გეგმებზე ესაუბრა.

„დიდი მადლობა, რომ შემომიერთდით დღესასწაულების აღსანიშნავად. საქართველოში ძალიან ხანგრძლივი სადღესასწაულო სეზონი გვაქვს, რომელიც იწყება 16 დეკემბერს, როცა აღინიშნება ხანუკა, და სრულდება ძველი სტილით ახალ წელს, 14 იანვარს.

მე განსაკუთრებით მიყვარს წელიწადის ეს დრო. ეს არის მეგობრებისა და ოჯახურ წრეში დღესასწაულების აღნიშვნის დრო. ეს არის მიმავალი წლისადმი მადლიერების გამოხატვის დრო, ეს არის დაფიქრების დრო. ეს არის დრო, როცა ჩვენ ვემზადებით საინტერესო მომავალი წლისათვის.

მე თქვენ ყველას მეგობრებად და ოჯახის წევრებად გთვლით. თქვენ ხართ არა მხოლოდ პირადად ჩემი და ჩემი გუნდის მეგობრები, არამედ ქართველი ხალხის მეგობრებიც. საქართველოს სურვილია, იყოს ყველა ქვეყნის მეგობარი. წელს ჩვენ ყველა თქვენგანთან ვითანამშრომლეთ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში. დღეს კი ყველა ქართველის სახელით კიდევ ერთხელ გისბდით მადლობას მეგობრობისთვის.

ვფიქრობ, მიმავალ და დამდევ წლებზე, ვამაყობ ჩვენი მიღწევებით და იმედის თვალთ შევყურებ სვლინდელ დღეს. თქვენთან თანამშრომლობის შედეგად, წელს ხელისუფლებამ ძალიან ბევრს მიაღწია.

ირაკლი ლარიბაშვილმა ამ მიღწევებზე დეტალურად ისაუბრა.

ჩვენ ხელი მოვანერეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით; მკვეთრად გავაუმჯობესეთ ჩვენი მოსახლეობისთვის ჯანდაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობა; ვმუშაობთ კანონის უზენაესობის დამკვიდრებასა და მდგრადი დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნაზე; გავზარდეთ ექსპორტი, დავაგეთ გზები და მოვიზიდეთ უფრო მეტი ინვესტიცია, ვიდრე წინა პერიოდებში.

ვფიქრობ რა მიმავალ და დამდევ წლებზე, მაგონდება ფრაზა: „ყოველი მომდევნო დღე ოდნავ უკეთესია, ვიდრე წინა“.

ჩვენ დიდნილად სწორედ ამით ვხელმძღვანელობთ“, – განაცხადა ლარიბაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა მეუღლესთან ერთად ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სადღესასწაულო მიღებაზე უმასპინძლა.

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვბბბან ვერ ნახავ!..**







სამართალი

მთავარი პროკურატურა ამტკიცებს, რომ ზურაბ ჟვანიას საქმეზე სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის რთული და ხანგრძლივი პროცესის გამო ვერ მოხერხდება.

სახალხო დამცველის ოფისმა დაიწყო ამ საქმის შესწავლა, საუბარია არა ჟვანიას გარდაცვალების შესახებ წარმოებულ საქმეზე, არამედ იმ დაკავებულებთან დაკავშირებით, რაც განხორციელდა წლის განმავლობაში.

„ბუნდოვანებით არის მოცული, არა მხოლოდ გარდაცვალებასთან დაკავშირებული პერიოდები, არამედ ის საკითხები, რომლებიც უკავშირდებოდა ძაძამიას დაკავებას და შემდგომ მის გათავისუფლებას.“

მისი თქმით, კითხვის ნიშნები არსებობს საქმეზე ბრალდებულ ძაძამიასთან დაკავშირებითაც, რომელიც გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა.

„საქმეში კვლავ არის კითხვის ნიშნები. რეალურად, წლის განმავლობაში, არც ერთ ამ კითხვას პასუხი არ გაცემია, პირიქით, კიდევ უფრო მეტი კითხვა გაჩნდა.“

როგორც ცნობილია, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე ბრალდებულ მიხეილ ძაძამიას აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე გირაოთი შეეცვალა.

რატომ ვერსდება სწრაფი მართლმსაჯულება?



გრილობა გამოიჩინა, კერძოდ, გვაძებნენ არსებული აშკარა დაზიანებები სრულყოფილად არ აღწერა, რის გამოც იგი 2014 წლის 20 მარტს დააკავეს.

სსსკ-ს თანახმად აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ცხრა თვეს.

„ნაფიც მსაჯულთა განსჯადობას მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დაწყებას მათი შერჩევის პროცედურა აჭიანურებს.“

რება, რაც დაკავშირებულია დროის დიდ დანახარჯებთან.

ძაძამიას და ხარშილაძის ბრალდების საქმე სასამართლოში არსებითად განსახილველად ვერ კიდევ 2014 წლის 17 სექტემბერს წარიმართა.

დღეის მდგომარეობით ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი გრძელდება, თუმცა, როდის დასრულდება 13 მსაჯულის შერჩევა, ამის წინასწარ პროგნოზირება რთულია.

„გამოძიების დასრულებამდე საქმეზე კომენტარს არ აკეთებს გოგლა ჟვანია, თუმცა, თვლის, რომ ძაძამიას პატიმრობიდან გათავისუფლება პროკურატურის ბრალი ნაკლებად არის და ვითარებას არსებითად ვერ შეცვლის.“

„გამოძიების პროცესი დასრულებული არ არის. შესაბამისად, საქმის გარემო დეტალური კომენტარის გაკეთება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.“

ეს პროცესი არის გაჭიანურებული, წინასწარი პატიმრობის ვადა ამოწურულია და ძაძამია გათავისუფლდა.

ანა სანიძე

ენგურპისი

რა ულ ხაჯიძემ განცხადებამ, რომ „ენგურპისის“ ის ნაწილი, რომელიც დე ფაქტო აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, აფხაზ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს, ქართველი ექსპერტები დააფიქრა.

ჰესის გათიშვის საფრთხეს არ გამოირიცხავს ექსპერტი არჩილ მათიაშვილი. ის აცხადებს, რომ აფხაზების ნებისმიერი ქმედება ჩვენ უფრო დაგვაზარალებს, ვიდრე მათ, რადგან გენერაციის ობიექტი იქ არის და, თუ აფხაზებმა ელექტროენერგია გათიშეს, ამ შემთხვევაში გამოსავალი იქნება ის, რომ ქვეყანას მოუწევს ელექტროენერჯის იმპორტი, რაც საკმაოდ ძვირი დაჯდება.

გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი ნინო ჩხობაძე კი აცხადებს, რომ საქართველოს ვალდებულებები აქვს ენგურპისზე და ეს საკითხი არ შეიძლება განსახილველი იყოს.

რისთვის დასჭირდა ხაჯიძემ ენგურპისით აპელირება? როგორც ცნობილია, ენგურპისი წელიწადში 4,5 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერჯიას გამოიმუშავებს.

რამდენიმე დღის წინათ ოკუპირებული აფხაზეთის გენერალურმა პროკურორმა ალექსი ლომიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მათ მიერ სახელმწიფო კომპანია „ჩერნომორენერგოს“ დოკუმენტების შემოწმების შედეგად დარღვევების მთელი წყება აღმოჩნდა.

„თუ ჭიდაობა დაიწყეთ, მაშინ უკვე არს იმათ პენსია და არს ჩვენ“



სზე აღარ ირიცხება ისეთი საწარმოები, როგორც „ენგურპისი“ და „ვარდნილქუნი“ იყო და ორივე მათგანი ქართული ენერგოსისტემის კუთვნილებაში გადავიდა.

აქედან გამომდინარე, რა ულ ხაჯიძემ კითხვა აღეძრა — „დღემდე არ ვიცით, ვიღებთ თუ არა იმ 40%-ს, რომელიც 60%-40%-ზე (ანუ საქართველოსა და აფხაზეთს შორის) მომხდარი გადახანჩილებით გეკუთვნის.“

ენერგეტიკოსი რევაზ არველაძე For.ge-სთან საუბარში 1996-97 წლებს იხსენებს, როცა აფხაზეთმა დააყენა საკითხი, რომ ვინაიდან სამანქანო დარბაზი და ენგურპისის მართვის ფარი საბეროში (გალის რაიონი) მდებარეობდა და ეს დაახლოებით მთელი ელექტროსადგურის ძირითადი ფონდების 40%-ს შეადგენდა, ელექტრო-

ენერჯის 40% აფხაზეთს ეკუთვნოდა, ხოლო 60% — საქართველოს. რა თქმა უნდა, ეს არასწორად ნაანგარიშები იყო, რადგან ასეთი ანგარიში ბუნებაში არ არსებობს.

„ენგურპისი ერთიანად ეკუთვნის საქართველოს. ცუდად ნუ გამოგებენ ჩვენი მონათესავე აფხაზები, მაგრამ ენგურპისის მშენებლობაში აფხაზებს საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა.“

კული ტექნიკური თვალსაზრისით. ენგურის მდინარის ნაწილი (რაც ტურბინებში მიედინება) თავისი კალაპოტით კი არ წაივია, არამედ გადავიდა გალის რაიონისკენ, სადაც არის „პირველი ვარდნილქუნი“ წყალსაცავი და იქიდან უკვე „ვარდნილქუნი“ მიდის. ძალიან ახლობელია ჩვენთვის აფხაზეთი, ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ კეთილი ნება გამოიჩინა და 40-60 %-ზე გადაანაწილა ენერგია.

ქსპერტი ირაკლი ცქიტიშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ დე ფაქტო ხელისუფლებაში ხაჯიძემ მოსვლის შემდეგ მისი დარტყმის ცენტრალური კურსი მიმართული იყო სწორედ „ჩერნომორენერგოს“ ჩახლართულ კორუფციულ საქმეზე.

კვალი ნათელი

ივანე ბერიტაშვილის საკვარელი მონაწილე

თეიმურაზ იოსელიანი - 85



2014 წლის 19 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის XI კორპუსში, იქ სადაც ათეული წლების განმავლობაში სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი თეიმურაზ იოსელიანი, გაიმართება დიდი მეცნიერის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია და გაიხსნება მისი სახელობის აუდიტორია. აღნიშნული ღონისძიება ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის ინიციატივით (კათედრის გამგე პროფ. ნ. დორეული), თსუ ადმინისტრაციისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების თანადგომით სორცეიდდება.

ამა წლის 21 ოქტომბერს ბატონი თეიმურაზ იოსელიანი 85 წელი უკუსრულდებოდა.

აკადემიკოსი თ. იოსელიანის მეცნიერული ღვაწლი დამახასიათებლად დაფასდა სამეცნიერო საზოგადოებისა და ქვეყნის ხელისუფლების მიერ. იგი იყო თავის ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, სოროსის ფონდის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მრავალი სახელობითი მედიის მფლობელი, „1978 წლის გამორჩეული ადამიანი“. ბატონი თეიმურაზი იყო საქართველოში, „ნერვული სისტემის მიკროლექტროლი კვლევის პიონერი“. მისი მეცნიერული მოღვაწეობა ფიზიოლოგიაში ზურგის ტვინის შესწავლით იწყება. ექსპერიმენტულ მონაცემებზე დაყრდნობით საკანდიდატო დისერტაციაში თ. იოსელიანმა წარმოადგინა შრომა „ზოგადშეკვებაში ზურგის ტვინის ფელატინური სუბსტანციის როლის შესახებ. ზურგის ტვინის ინტეგრაციული მოქმედების ნერვული მექანიზმების შემდგომი კვლევის შედეგებზე ავგო მან თავისი სადოქტორო ნაშრომი, რომელიც მოგვიანებით მონოგრაფიის სახითაც გამოიცა. დიდი ბატონი თეიმურაზის დამახასიათებელი თავის ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა სტრუქტურების, ტვინის ღეროს ფიზიოლოგიური მექანიზმების შესწავლაშიც, რაც ასახა კიდევ 150-ზე მეტ მეცნიერულ სტატიაში.

აკადემიკოსი ივანე ბერიტაშვილი ნამდვილად არ შემცდარა, როდესაც 1960 წელს ზოგადი ფიზიოლოგიის სალექციო კურსი საყვარელ მონაწილეს, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 29 წლის მეცნიერს თეიმურაზ იოსელიანს გადასცა. ბატონი თეიმურაზი ამ საგანში ლექციებს 46 წლის განმავლობაში კითხულობდა, ხოლო ფიზიოლოგიის კათედრას 28 წელი ხელმძღვანელობდა. მისი ინიციატი-

ვით ფიზიოლოგიის კათედრამ სამეცნიერო-პედაგოგიური ურთიერთობა დაამყარა სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან. ქ. იენის (გერმანია) უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის ლაბორატორიასთან, ესკოლაბორაცია 15 წელს გრძელდებოდა და ასახულია საერთო პუბლიკაციებში. აკად. თ. იოსელიანი ლექციების ნაკითხვისა და სამეცნიერო მუშაობისათვის მიწვეული იყო ქ. ლოუელის (აშშ), საარბრიუკენისა (გერმანია) და სხვა უნივერსიტეტებში. ფიზიოლოგიის კათედრაზე კი ბატონი თეიმურაზის მონაწილეობით ექსპერიმენტულ კვლევას ეწეოდნენ პროფესორი ლიუცი (აშშ), კლინგბერგები (გერმ.), ბიზოვი, სმირნოვი (რუსეთი) და სხვანი. ბატონი თეიმურაზის ინიციატივით ამერიკელ პროფესორ დევიდ ადამსთან ერთად შეიქმნა და წლების განმავლობაში წარმატებით ფუნქციონირებდა ჩვენს ქვეყანაში პირველი სტუდენტური სამეცნიერო ლაბორატორია ზურგის ტვინის ხელმძღვანელობით.

სრულიად განსაკუთრებულია თეიმურაზ იოსელიანის, როგორც ლექტორისა და პედაგოგის როლი. მის მიერ აღზრდილია 6000-ზე მეტი სტუდენტი. იგი ნამდვილად არის „დიდი მოძღვრის ღირსეული მონაწილე“. ერთ-ერთ მოვალეობად თეიმურაზ იოსელიანი მიიჩნევდა ივანე ბერიტაშვილის ტრადიციების განგრძობასა და ფიზიოლოგიაში სტუდენტთა მომზადების დონის ამაღლებას, რის აუცილებელ პირობადაც თვლიდა არა მარტო ლექციების მაღალ აკადემიურობას, არამედ მიმზიდველობასაც. მას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ახალი ინფორმაციის შემცველი ლექციების მიმზიდველობას წარმოთქმულ წინადადებათა ენობრივი სიღამაზე კი არ განსაზღვრავს, არამედ ის, თუ რამდენად გასაგები და იოლად ასათვისებელია ნათქვამი. სწორედ ამიტომ არის დანერგილი თეიმურაზ იოსელიანის სახელმძღვანელოები ასე გასაგები და გამართული ქართულით: „კუნთოვანი და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია“ (ივანე ბერიტაშვილის თანაავტორობით); „ფიზიოლოგია. ვისცერალური სისტემები“; „ადამიანის ფიზიოლოგია. კუნთოვანი და ნერვული სისტემები“. ამიტომაც იყო ყოველთვის ბატონი თეიმურაზის ლექციებზე სავსე აუდიტორია.

აკადემიკოსებთან ვაჟი ოკუჯავასა და თენგიზ ონიანთან ერთად, თეიმურაზ იოსელიანი ფიზიოლოგთა საზოგადოებაში მოიხსენიებოდა, როგორც „სამი მუშაკეტერის“ ერთ-ერთი წარმომადგენელი. სამწუხაროდ, წელიწადნახევრის წინ ბოლო „მუშაკეტერმაც“, აკადემიკოსმა თ. იოსელიანმა მიტოვა. მისი სახელი დაუვიწყარი დარჩება მთელი ქართველი სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

**საპარტვილო მცენიარებათა ეროვნული აკადემია; ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა.**

აბტუალური ინტერვიუ

საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი მერაბ ტურავა საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმირების აუცილებლობაზე საუბრობს. მისი თქმით, ეს სასამართლო „პატარა სტრასბურგი“ უნდა გახდეს, რომელიც იქნება ერთგარი ფილტრი, დამაკავშირებელი რგოლი საერთო სასამართლოების გადამწყვეტილებებსა და სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებს შორის.



ტურავას აზრით, უნდა შეიქმნას მოდელი, რომლის მიხედვითაც, საკონსტიტუციო სასამართლო არა მხოლოდ საკანონმდებლო ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებელი იქნება, არამედ მისი მემოტივით მოქალაქეებს ექნებათ საშუალება, უფლებების დარღვევის შემთხვევაში, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ. საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმირების თაობაზე საკუთარი ხედვები ტურავამ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს გააცნო, სადაც მას მხარი ერთსულოვნად დაუჭირეს. დღეს მერაბ ტურავაზე ჩვენი სტუმარია.

— თქვენი საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს სახით პატარა სტრასბურგი შეიქმნება, ეს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საჩივრების რაოდენობას შეამცირებს და მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, რომ გადამწყვეტილებებს წლების განმავლობაში არ ელოდონ?

მართავენ საკონსტიტუციო სასამართლოს არა მხოლოდ სარჩელით, რომ შეამოწმოს მათ მიერ გამოყენებული კანონის ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი, არამედ, ასევე, როცა ყველა სასამართლოს ინსტანცია, ანუ საერთო სასამართლოების სისტემა მიიღებს გადაწყვეტილებას და თუ პიროვნება ჩათვლის, რომ მისი კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები სახელმწიფოს მხრიდან დაირღვა, საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს სარჩელით, დაადგინოს დარღვევის კონკრეტული ფაქტი. ვინაიდან სტრასბურგში სარჩელების რაოდენობა გაცილებით დი-

„საკონსტიტუციო სასამართლო“

დია, ქვეყნის შიგნით უფრო მოკლე ვადებში მოხდება უფლებების დარღვევის ფაქტის დადგენა და შესაბამისი რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან. აქამდე უზენაესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ქართველები სტრასბურგს მიმართავდნენ, მაგრამ სტრასბურგი 47 სხვადასხვა ქვეყნიდან შესული ათასობით სარჩელით გადატვირთულია და უწევთ ლოდინი. ამიტომ ქვეყნის შიგნით უფრო ეფექტური სისტემა უნდა შეიქმნას.

— თეა წულუკიანი ამბობს, რომ რამდენიმე წელიწადში მოსამართლეთა ღირსეული კორპუსი გვეყვლება, მანამდე, ჩვენს პირობებში, როცა მოსამართლეთა ნდობა ნაკლებია, რა გარანტიაა, რომ ისევე ამავე მოსამართლეობით დაკომპლექტებული საკონსტიტუციო სასამართლო საკუთარ თავზე ფილტრის ფუნქციას აიღებს?

— ქვეყანაში, სადაც საერთო სასამართლოების ნდობა დაბალია, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა აიღოს თავის თავზე ამ

ინტერვიუ

„თუ ჭილაობა დაიწყეთ, მაშინ უშუალოდ არც იმას ექნებათ და არც ჩვენ“

(მესამე ბეგრადიან) საუბარია იმაზე, რომ იმ 40 %-დან, რასაც იღებდა „ჩერნომორენერგო“, ისევ უკან ჰყიდდა საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, რადგან ჩვენთან ელექტროენერჯის ფასი უფრო მაღალია, ვიდრე აფხაზეთის ტერიტორიაზე, სადაც დაახლოებით, 2 ცენტი იყო ელენერჯის ფასი. „ამ სხვაობას იჯობავდნენ“. „ჩერნომორენერგოს“ ხელმძღვანელი ბალაფში იყო და შემდეგ ბალაფშის კლანს ანქვავი მფარველობდა, ამიტომ ხაჯიბა დაერია „ჩერნომორენერგოს“ მაშინდელ ხელმძღვანელობას. შესაბამისად, ხაჯიბას განცხადება თავის დაზღვევა, რათა ხალხი არ აუჯანყდეს, რადგან ზამთარში აფხაზეთის ტერიტორიაზე დენის გათიშვა ყოველ ზამთარს ხდება, როგორც კი თოვლი მოდის. ძაბვაც ძალიან დაბალია. მას სურს, აფხაზეთში ელექტროენერჯის მიწოდება როგორმე მოახერხოს. ამიტომ ის აჟიოტაჟი, რომელიც ატეხილია ჩვენთან, რომ შეიძლება ენგურშესი პრობლემური გახდეს, გაუგებარია. ეს ტექნიკურად შეუძლებელია, თურუსები სამეგრელოსაც არ დაიპყრობენ. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ეს ჰესი ორმხრივი სარგებლობის და ორმხრივი გამოშვების იქნება. ერთადერთი მხარე, რომელსაც რეალურად შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, კიდევ მიიზიდოს ინვესტიცია, კიდევ გააგრძელოს და მართოს ენგურშესი, ეს ქართული მხარეა. დამოუკიდებლად აფხაზეთი მხარე ვერ მართავს ენგურშესს და შესაბამისად, ის უნდა იყოს ქართული მხარის მფლობელია. თუ სათაო ოფისი მათ მხარეზე, წყალსაცავი ჩვენს მხარესაა, თუ დავიწყებთ ამაზე ჭილაობა, მაშინ არც იმას ექნებათ შუქი და არც ჩვენ“, — აცხადებს ირაკლი ციტიშვილი.

ექსპერტი ენერჯეტიკის საკითხებში შოთა მაჭარაშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ წყალსაცავი, საიდანაც ელექტროენერჯია გამოშვებული, ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზეა, ხოლო ჰესების ობიექტები გალის რაიონშია, ორივე ჩვენი ტერიტორიაა და შეუძლებელია მათი გაყოფა. ამიტომ ხაჯიბას მხრიდან ეს არის სუფთა სპეკულაცია, რაც იმის გაგრძელებაა, რასაც ჰქვია ასოციირების ხელმოწერა რუსეთთან.


„ელექტროენერჯის გადამწოდება პირობითია, ეს უბრალოდ კეთილი შესტია, თორემ შეიძლება, აფხაზეთს ზოგჯერ დასჭირდეთ 40 % ელექტროენერჯია, ზოგჯერ — 30 % როგორც ვიცით, მაშინ გათვლები იყო იმაზე, რა რაოდენობის ელექტროენერჯია სჭირდებოდა აფხაზეთს. ომის დამთავრების შემდეგ გადამწოდება ეს პროცენტული მაჩვენებელი, მაშინაც ჩვენი ქართველი სპეციალისტები ამუშავებდნენ და მართავდნენ ენგურშესს და დღესაც იგივე გრძელდება. მაშინ რა ხელშეკრულება დაიდო, არ ვიცო, თუმცა, დიდი აურზაური იყო იმის გამო, რატომ იყო ეს ხელშეკრულება გასაიდუმლოებული. თუ დაკარგავთ, ჩვენ მთლიანად დაეკარგავთ აფხაზეთს, რაც ძნელად სავარაუდოა, თუ არადა, ცალ-ცალკე ენგურშესის წილების დაკარგვაზე საუბარი ზედმეტია“.

მანანა ნოზაძე









# კოსმოსური პარალელაიზაჟი

## არტეფაქტები ქანთა წიაღიდან

წინა პუბლიკაციაში ლაპარაკი ავსტრიაში ნაპოვნი პარალელაიზაჟი გვექონდა, რომელიც, თითქოსდა, არამინერალური ნარმოშობისა უნდა იყოს. თუმცა, გარდა უცნაური პარალელაიზაჟისა, არის ამ ტიპის კიდევ სხვა ნაპოვნები.

მაგალითად, 1844 წელს ინგლისელმა ბუნებათმცოდნე დევიდ ბრიუსტერმა სენსაციური განცხადება გააკეთა: კონკრეტული კარიერში მან მკვრივ ქვიშაქვაში... ფოლადის ლურსმანი ნახა, რომლის ასაკი რამდენიმე მილიონი წელია! ერთი კი იყო: ბრიუსტერს ზუსტად არც ადგილი, არც ნაპოვნის მიგნების სიღრმე, არც სხვა აუცილებელი დეტალები არ მიუთითებია. მაგრამ იგი აღიარებული მეცნიერი იყო, ათობით სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ამიტომ მის სიტყვებში ეჭვი არავის არ შეუტანია. მაგრამ არის ამ ტიპის კიდევ სხვა ნაპოვნებიც. კერძოდ, 1869 წელს მინდვრის შპატის მკვრივ ნატეხში, რომელიც დიდი სიღრმეიდან ამოიღეს... ლითონის ქანჭიკი აღმოაჩინეს. მანამდე ცოტა ხნით ადრე კი ცნობილია ოქროს მაძიებელმა პაიერ უაიტმა ოქროს შემცველი კვარცის ნატეხი იპოვნა, რომლის შიგნით... ოდნავ დაჟანგული ლურსმანი იყო!

1852 წელს, გლაზგოს მახლობლად, ნახშირის ნატეხში უცნაური რკინის ნივთი იპოვეს, რომლის დანიშნულების დადგენა ვერ მოხერხდა. იმის გამო, რომ ქვანახშირი დედამიწაზე ადამიანის გაჩენამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს საგანი თავისით ჩაეფლათ იმ სიღრმეზე მძლავრ წყებაში. ამიტომ, გამოითქვა აზრი, რომ ნაპოვნი საგანი თანამედროვე ბურღის გატეხილი ნაწილია. თუმცა კი, იმ რაიონში ბურღის რაიმე კვალი ვერ მიაგნეს, თავად ეს საგანი კი ქვანახშირის ნატეხში იყო და სანამ ის არ გატეხეს, არავინ არ იცოდა, რომ ის შიგნით იყო ჩამარხული.

ასეთი ნაპოვნი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში უამრავია: დოჩესტერში (ინგლისი) კლდის აფეთქების შედეგად ნამსხვრევებს შორის მოვერცხლილი ზარის ნაწილები იპოვეს, რომლის შედაპირი გვირგვინისებრი ორნამენტი იყო მოხატული. აფეთქებამდე ზარი კლდის გულში ხუთი მეტრის სიღრმეზე იყო ჩამარხული. 1844 წელს სამი მეტრის სიღრმეზე ქვიშაქვაში ოქროს ძეწკვი ნახეს, 1957 წელს ზუსტად ასეთივე ნაქსოვი ძეწკვი... განაიტის (!) ნატეხში იპოვეს! მერე დაადგინეს, რომ ყველა არტეფაქტის ასაკი არა ასეული და არც ათასი, არამედ მილიონობით წლებია, ამიტომაც, სავსებით დასაშვებია, რომ ისინი არამინერალური ნარმოშობისაა, რადგან მათი წარმომავლობის ახსნა თანამედროვე მეცნიერებას ასევე არ შეუძლია, როგორც პირამიდების აღმოჩენებელთა ვინაობა ვერ გაურკვევია დანამდეგლებით. არამინერალური ტექნოლოგიებს მიაწერენ ასევე ტაიმირის ცნობილ ქვის წიგნებს და უძველეს ქანებში აღმოჩენილ... ვოლფრამის მავთულებს!

ბოლო დროს მეცნიერთა უმრავლესობა იზიარებს თეზისს, რომ ეს უცნა-

ური არტეფაქტები, მრავალრიცხოვანი უცნობი მფრინავი თუ წყალქვეშა ობიექტები და სხვა - ეს მხოლოდ უზარმაზარი აისბერგის მწვერვალია და რომ არამინერალური ტექნოლოგიებს, დიდი ხნის მანძილზე, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სპეცსამსახურების წიაღში სწავლობენ. მეტიც: საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა მტკიცებით, ამ ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლები უცხოვრებულნი უნდა იყვნენ ურთიერთობდნენ კიდევ! აშშ-ში არაოფიციალურად მიღებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ უცნობი მფრინავი ობიექტებისა და უცხოვრებულთა თემების ირგვლივ უაღრესი გასაიდუმლოების პოლიტიკა ხორციელდება, საზოგადოებაში კი ფანტაზიისა და ოკულტიზმის რაღაც გაურკვეველი ნაზავი ვრცელდება, რაც ყოველივეს გაურკვევლობის ბურუსში ახვევს.

იმასაც კი ამტკიცებენ, რომ გასაიდუმლოების პოლიტიკა იმ საიდუმლო ორგანიზაციების მიერ ტარდება, რომლებიც კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების უკლებლივ ყველა სტადიაზე არსებობდნენ. ამ საზოგადოებათა წევრები, როგორც წესი, პოლიტიკოსები, მეცნიერები, ზოგადად, მოაზროვნეები, ანუ ისინი არიან, ვისი ინტელექტუალური დონე ხალხის მასის დონეზე გაცილებით მაღალია. ამის მიზეზი მარტოა: ყველა საიდუმლო საზოგადოება უაღრესად დაინტერესებულია ელიტური ცოდნისა და არამინერალური ტექნოლოგიების ერთობლივ ფლობაში. ამიტომაცაა, რომ ხშირად პერსპექტიული კვლევები მოულოდნელად, ყოველგვარი ხილული მიზეზის გარეშე იხურება, აკრძალული თემებით დაინტერესებული მეცნიერები სადღაც უკვალოდ ქრებიან და ამ ბედს მათი ნაშრომებიც იზიარებენ, რომლებსაც ვერც ერთ ბიბლიოთეკაში ვეღარ ნახავთ.

იმის მიუხედავად, რომ საიდუმლო ორგანიზაციებს შორის ყოველთვის მძაფრი კონკურენცია, ხშირად, სისხლიანი დაპირისპირებაც კი იყო, მე-20 საუკუნის მიწურულს მათი გაერთიანების, გლობალიზაციის ტენდენცია წარმოიშვა. ამრიგად, მთელი რიგი მკვლევარის აზრით, დღესდღეობით შეიძლება ვილაპარაკოთ გარკვეულ მძლავრ საიდუმლო ორგანიზაციაზე, რომელიც სერიოზულ ზეგავლენას ახდენს კაცობრიობის ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე, რომელსაც მსოფლიოს საიდუმლო მთავრობის გახდომის ამბიცია აქვს.

ამჟამად ეს მთავრობა ბილდირბარგის ჯგუფის სახელითაა ცნობილი, რომლის წევრები მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანები, მათ შორის, პოლიტიკოსები, ბანკირები, მეწარმეები და სამხედროები არიან. ჯგუფში დაახლოებით ორი ათასი კაცია.

და, თუკი იმას ვირწმუნებთ, რომ ამ ჯგუფის წინამორბედი საიდუმლო ორგანიზაციები არიან, რომლებიც კაცობრიობასა და უცხოვრებულებს შორის შუამავლებს როლს ასრულებდნენ, რა გასაკვირია, თუკი მას შუამავლის როლი, ასე ვთქვათ, „მეგვიდროებით“ ერგო?


## კორსეტიან აზღუდავდა

მე-20 საუკუნის დამდეგისთვის, მსოფლიოს განვითარებულ, და შესაბამისად, განათლების მაღალი დონით გამოირჩეული ქვეყნების საზოგადოება ქალის კორსეტების დიდი წინააღმდეგი იყო.

ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ კორსეტები ქალებს თავისუფლად სუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ, რაც ხშირად გულის წასვლით მთავრდებოდა. თანაც ისინი სხვის დაუხმარებლად ჩასაცმელად მეტად მოუხერხებელი იყო. დიდი ფრანგი მწერლის გი დე მოპასანის მოსწრებული თქმის წყალობით, თითქოს მათი ტარების შედეგად, მახინჯი ბავშვები იზადებოდნენ, ხალხს კორსეტებზე გული საერთოდ აუცრუვდა.

კორსეტი, რომელსაც იმ ხანებში ორივე სქესი ხმარობდა, სხეულისთვის მოდის შესაფერი ფორმის მიცემის შესაძლებლობას იძლეოდა და სამოსელის უნივერსალური ფორმა იყო. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპელმა მამაკაცებმა ფერუმაილისა და პუდრის ხმარებაზე, თვალების შეღებვაზე, ასევე საყურებისა და კორსეტების ტარებაზე უარი თქვეს. მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიცვალა ქალის სამოსელის ტრადიციული ნახაზი, ამიტომაც პირველ ათწლეულში ყველაზე გაბედულებმა კორსეტების ტარება შეწყვიტეს.

ქალის მკერდის დასაჭერი ცალკე საცვლის იდეა მაშინ, რომ იტყვიან, „ჰაერში ტრიალებდა“, თუმცა კი, ამერიკის შეერთებულ შტატებში თანამედროვე აზღუდის „წინაპარი“ მხოლოდ 1914 წელს დააპატენტეს. „გამოგონების“ ავტორი მე-რი ფელს ჯეკობსი, ბორბლიანი გემის გამომგონებლის შთამომავალი იყო. ცხვირ-სახოცებიდან შეკერილი საცდელი პარტიის ნაკეთობებს „უზურგო ბრასიერები“ უწოდეს. მისი ჯეკობსის ქმრის მეცადინეობით, რომელიც კორსეტების დამამზადებელ ფირმაში მუშაობდა, პატენტი 15 წლით იყიდეს. პირველ მსოფლიო ომს კონსერვატიული ზნეჩვეულებათა დემოკრატიზაცია მოყვა, ქალების აზღუდები კი საცვლების შეუცვლელ ატრიბუტად იქცა. ახლა ქალები იძულებულნი აღარ იყვნენ საკუთარი ტანი გარკვეულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოეყვანათ, გარდა ამისა, მათ უკვე სხვის დაუხმარებლად ტანსაცმლის ჩაცმაც და გახდაც სწრაფად შეეძლოთ.



მაგრამ, მოგეხსენებათ, მუდმივი ამ ქვეყანაზე არაფერია, ამიტომაც იყო, რომ მე-20 საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს ბევრი აზღუდს არა ქალის თავისუფლების, არამედ მისი დამორჩილების სიმბოლოდ აღიქვამდნენ. განსაკუთრებული სიციხადით ეს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვლინდა. ამას კი აზღუდის გარეშე სიარულის მოდა მოყვა.

**ფოტოზა:** აზღუდის ნახაზი მერი ჯეკობსის პატენტში.

## მონოლოთა ნაკვალავი ჩინეთში

რამდენიმე ხნის წინათ ჩინეთის ძველი ქალაქის შანდუს ნანგრევები, რომელიც თავის დროზე მონოლოთა დინასტიის იუანის დედაქალაქი იყო, იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების სიაში შეიტანა.

ქალაქი შანდუ, რაც სიტყვასიტყვით „ზემო დედაქალაქს“ ნიშნავს, ჩინეთის ტერიტორიაზე განთავსებული მსოფლიო მემკვიდრეობის რიგით 42-ე ობიექტია. ის ძველმოსილი მმართველის ხუბილაი-ხანის ლეგენდარული დედაქალაქი იყო, რომელიც 1256 წელს მისმა მრჩეველმა ლიუ ბინჯუნმა დააპროექტა. აღსანიშნავია, რომ სწორედ შანდუ არის მომთაბარე მონოლოთური და მიწათმოქმედი ჩინური კულტურების ასიმილაციის მცდელობის უნიკალური ადგილი. ამჟამად იქ შემორჩენილია ტაძრების, სასახლეების, სამარხების, მომთაბარეთა ბანაკების ნარჩენები, აგრეთვე არხი ტეფანგანი და სხვა ჰიდრომაგებობები.

## იოპრაპეტი!

ამიერიდან დაადგინეს, რომ დიდი ხნის ჯდომა გულის სისხლძარღვთა მდგომარეობის გაუარესებას იწვევს.

მაგრამ, თურმე, ამ ზიანის გაუვნებელყოფა 20-წუთიანი „ფიზიკულური პაუზით“ ანდა, სამუშაო ადგილიდან ფეხმოუცვლელად, მარტივი ვარჯიშებით შეიძლება. ასეთი მოძრაობებია გაზმორება, თავის აქეთ-იქით მიბრუნება, სხეულის სიმძიმის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა, ფეხების გაშლა ან სხეულის მდგომარეობის შეცვლა.

## ენა-ტელეგრაფი

ადრე ჩვენ უკვე ვწვდით კანარის კუნძულებზე მცხოვრებ გუანჩებზე, ასევე ესპანეთისა და საფრანგეთის ზოგიერთ მხარეში მცხოვრებ მოსახლეობაზე, რომელთა წარმომადგენლები ერთმანეთს... სტვენით ელაპარაკებოდნენ. ამჯერად ერთ ასეთ მცირე ჯგუფზე მოგითხრობთ, რომელიც თურქეთში ცხოვრობს.

ვილაიეთი გირესუნის ქვეყნის დედაქალაქ ანკარადან 600 კილომეტრით ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. მისი შუაგული მაღალმთიანია, ადგილები - მიუვალი, სოფლები ცოტაა. ამიტომაც აქაური დაახლოებით სამი ათეული სოფლის მცხოვრებლებმა საკუთარი „ენა-ტელეგრაფი“ გამოიგონეს. თუკი ერთი სოფლიდან მეორეში რაიმე შეტყობინების გადაცემა უნდათ, გადამცემი პირი ახლომდებარე ბორცვზე ადის და სტვენა-ნიშნებით საჭირო ინფორმაციას - დაბადების, ქორწილის, ახლობლის მდგომარეობის ამბავს და სხვ. - გადასცემს.

სტვენა კი ადგილობრივებს ხელენიფებთ - სამ კილომეტრზე „საუბარი“ მათთვის პრობლემა არ არის. „ენა-ტელეგრაფს“ სულ ორი ათასამდე კაცი ფლობს, ხოლო რას ლაპარაკობენ ერთმანეთში, ეს, აბა, სხვების რა საქმეა!



❶ ძიუდო

ჭრიკიშვილის უცხოური ჯილდოები



საერთაშორისო მინორულს, ტრადიციულად, უძლიერეს სპორტსმენებს როგორც ცალკეული ქვეყნები, ისე

საერთაშორისო ორგანიზაციების აჯილდოებენ. ამ მხრივ გამორჩეულია ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია: კომონიონთა თავკაცები წლის ბოლოს წონებში რეიტინგით საუკეთესოებს 10.000-10.000 დოლარს გადასცემენ. ჩვენებურთაგან ამ სიაში ორი ფალავანი მოხვდა - მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი (81) და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს პრიზიორი ვალერი ლიპარტელიანი (90), თუმცა, ჭრიკიშვილს დამატებით 50 000 დოლარც შევადგება, როგორც ძიუდოს ვაჟთა შორის საუკეთესოს - 3610 ქულა აქვს. მეორე ადგილზე მყოფი მონგოლი ბოლდბაატარ განბატი



(60 კგ) მას 934 ქულით ჩამორჩება. ქალებში 4230 (!) ქულით კოსოვოელი ოლიმპიური პრიზიორი, მსოფლიოს ორგზის და ევროპის ჩემპიონი მაილინდა კელმენდი (52) მენინავებობს.

ლაშა დიდიას სურათზე: ავთანდილ ჭრიკიშვილი; ვარლამ ლიპარტელიანი.

❷ სახმცია

ნიჟარაძე მსაჯებს უემოსწყრა

ბოლო დროს საქართველოს ჩემპიონატის მომსახურე მსაჯების მიმართ უკმაყოფილებამ პიკს მიაღწია და სადამსჯელო სვლამაც არ დააყოვნა. თბილისის „თიბის უნივერსიტეტმა“ ქუთაისის „აია“ 15:8 რომ დაამარცხა, ამ მატჩის მსაჯობამ კიდევ უფრო მეტი კითხვა გააჩინა და საქართველოს რაგბის კავშირმა მსაჯთა დასჯა გადაწყვიტა, რასაც ქმედებაც მალევე მოჰყვა:

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის გიორგი ნიჟარაძის ბრძანებით თბილისის „თიბის“-სა და ქუთაისის „აიას“ შორის 7 დეკემბერს ავჭალის სარაგბო სტადიონზე გამართული შეხვედრის (2014-15 წლების სეზონის უმაღლესი ლიგის XI ტური) მსაჯობასთან დაკავშირებით: საქართველოს რაგბის კავშირის საშუალებით კომიტეტის 2014 წლის 7 დეკემბრის წერილის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა ქ. თბილისის თბილისის „თიბის“-სა და ქუთაისის „აიას“ შორის გამართული მატჩის მსაჯობას, პარაპნა: გამოეცხადოს მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარეს დავით შუ-

ბითიძეს, მსაჯთა განვითარების მენეჯერს და მსაჯთა მწვრთნელს ლუკა კილასონიას საყვედური.

მატჩის მომსახურე მსაჯთა ბრიგადას (მთავარი მსაჯი საბა აბულაშვილი, თანამსაჯები გიორგი ტრაპაიძე და ნიკა ამაშუკელი) არ აუნაზღაურდეს კონკრეტული მატჩის ჰონორარი, ხოლო მატჩის მეთვალყურეს გოგი ჭიჭინაძეს დაქვითოს ჰონორარის 50%.

მსაჯთა კოლეგიამ თბილისის „თიბის“-სა და ქუთაისის „აიას“ შორის გამართული მატჩის მომსახურე მსაჯთა ბრიგადას თამაშის ტენდენციურად და არაკვალიფიციურად ჩაბარების საფუძველზე შეგავლენა იქონია ბრძოლის შედეგზე) მიიღოს შესაბამისი სადამსჯელო ზომები, რომელიც განსაზღვრულია მსაჯთა კოდექსის დებულებით.

მსაჯთა კომიტეტმა შეიმუშაოს შესაბამისი დებულება, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ მატჩებზე შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე მსაჯების დანიშვნის საკითხს.



საქართველოს რაგბის კავშირის საშუალებით კომიტეტის 2014 წლის 7 დეკემბრის წერილის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა ქ. თბილისის თბილისის „თიბის“-სა და ქუთაისის „აიას“ შორის გამართული მატჩის მსაჯობას, პარაპნა: გამოეცხადოს მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარეს დავით შუ-

ვიტალი ჯაფარიძე

❸ მშვილდოსნობა

ცეცხლის საზზე - 70 ჩუბინი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში დამთავრდა საქართველოს ზამთრის პირველობა, რომელიც, ფაქტობრივად, 2014 წლის ევროპის ზამთრის ჩემპიონატისთვის შესარჩევი შეჯიბრება იყო. იმ ასპარეზობას 24-28 თებერვალს სლოვენური კომპერი უმასპინძლებს.

სპორტსმენები 18-მეტრიან დისტანციაზე ეცილებოდნენ ერთმანეთს მედლებს. ცეცხლის საზზე 70-მა ჩუბინმა მოიყარა თავი. ქალთა საკვალიფიკაციო ეტაპი 570 ქულით მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ქრისტინე ესებუამ მოიგო. მას 13 ქულით ჩამორჩა იულია ლობჯანიძე. 551 ქულით მესამე იყო ხათუნა ნარიმანიძე. პლეი ოფში გამართული პაექრობების შემდეგ ნახევარფინალში ნარიმანიძემ ლობჯანიძეს 7:1 მოუგო, ესებუამ კი კუტალაძე 6:0 დაამარცხა. გადამწყვეტ პაექრობაში მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ნარიმანიძემ სამივე სეტში სძლია ესებუას, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი ლობჯანიძემ 7:1 დაჯაბნა კუტალაძე.

ვაჟებში ჯაბა მოსეშვილმა გაიმარჯვა. მეორე ადგილზე ლაშა ფხაკაძე გავიდა, მესამე ადგილი გურამ ლლონტს ხვდა. გოგონებში ჩემპიონობა ხათუნა ნარიმანიძის ქალიშვილმა ციკო ფუტკარაძემ მოიპოვა, მეორე-მესამე ადგილებზე მარინე ჩუმჩენკო და გვანცა ქოქიაშვილი გავიდნენ. ბიჭებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ვლადიმერ დოლიძე, 2. არჩილ ფარსენაძე, 3. დავით მიხელიძე.

გივი გაბუა

სურათზე: მარცხნიდან-ხათუნა ნარიმანიძე და ქრისტინე ესებუა.



❹ ფეხბურთი

ესპანურ მოტივებზე



რომორც მოსალოდნელი იყო, მადრიდის „რეალმა“ უპრობლემოდ გადალახა მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ნახევარფინალური წინაღობა და დიდი ნაბიჯი გადადგა იმ ტიტულისკენ, რომელიც მის მდიდარ კოლექციას აკლია.

მარკოს ქალაქ მარაკეში მექ-

სიკის „კრუზ ასულთან“ გამართული შეხვედრის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყდა, როცა სერხიო რამოსმა და ბენზემამ პარტნიორებს სოლიდური უპირატესობა მოუპოვეს - 2:0. შეხვედრის შემდეგ უკვე ბეილის და ისკოს ჯერი დადგა, რომლებმაც ანგარიში გამანადგურებელი გახადეს - 4:0.

მართალია, უთანასწორო ბრძოლა აცტეკების შთამომავალთა ფიასკოთი დასრულდა, მაგრამ მათ ერთი ფაქტით მაინც შეუძლიათ იამაყონ: სარბიელი ამჯერად უგოლოდ დატოვა „სამეფო კლუბის“ ბომბარდირმა კრისტიანო რონალდუმ, რითაც წლებგანდელ სეზონში ბევრი ვერ დაიკვეხნის.

გიორგი შოთაძე

❺ ინტერნეტიდან


კოსტაკურტას უზარებელი ცოლი

მეტიარანი იტალიელი ფეხბურთელის ალფრედო კოსტაკურტას მეუღლე, ერთ დროს მთელს მსოფლიოში ცნობილი მოდელი და მსახიობი მარტინა კოლომბარი იტალიის ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელი გახდა და სხვადასხვა ტიპის გალა-ღონისძიებებს სწორედ იგი წარუძღვება ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ მარტინა კოლომბარი უკვე გადააბიჯა 40 წელს, იგი ძველებურად მომხიბვლელად გამოიყურება და მისი პერსონით იტალიური ბულვარული მედიის წარმომადგენლები ხშირად ინტერესდებიან.

მარტინა კოლომბარის მრავალფეროვან ბიოგრაფიაში განსაკუთრებით გამოსაყოფია ის ფაქტი, რომ ეს ქალი 20 წლის წინათ „მის იტალია“ გახდა და მასთან იტალიური ტანსაცმლის მწარმოებელმა ფირმა „ზარამ“ პირველი კონტრაქტი გააფორმა. ამის შემდეგ კი პოპულარობასთან ერთად დიდი ფულიც მოვიდა.

როსტომ რაჭველიშვილი



❻ სათელი

ვაჟა ჟღანბი

ძართულ კალათბურთს არსებობის განმავლობაში მრავალი გამარჯვება ახსოვს. ამ წარმატებებს საძირკველი გახული საუკუნის 40-50-იან წლებში ჩაეყარა. მესაფუძვლეთა შორის გახლდათ შესანიშნავი პიროვნება, საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, საკავშირო თასის ორგზის მფლობელი, სოციალისტური ქვეყნების 1957 წლის დინამიადის გამარჯვებული, საკავშირო დინამიადების, ამიერკავკასიისა და საქართველოს ჩემპიონატების მრავალგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, სპორტის რაინდი, საპატიო დინამოელი ვაჟა ჟღანბი, რომელმაც თანაგუნდელებთან ერთად 1952 წელს საბჭოთა კავშირის 10 ქალაქის პირველობა მოიგო, ხოლო ორი წლის შემდეგ ბუდაპეშტში მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

მეორე მსოფლიო ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, მეგობრებმა „დინამოს“ დარბაზში რომ წაიყვანეს სავარჯიშოდ. ეს იყო 1944 წელს. მას შემდეგ სპორტის ამ სახეობისთვის ზურგი არასდროს შეუქცევია. 1948 წელს თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში აღმოჩნდა და ქართული კალათბურთის კორიფეების - ოთარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას, ალექსანდრე კილაძის, გურამ მინაშვილისა და სხვათა გვერდით ერთგულად იცავდა მშობლიური გუნდის ღირსებას. 1950 წელს ვილინუსში პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მასთან ერთად ეს სისარული ოთარ ქორქიამ, ნოდარ ჯორჯიკიამ, ჯუმბერ ნიჟარაძემ, ლევან ინწკირველმა,სულიკო თორთლაძემ, შოთა ქორქაშვილმა, ალექსანდრე მესხმა, დავით გომიაშვილმა და გივი რუხაძემ (მწვრთნელი გიორგი ავალიშვილი) გაიზიარეს. მერე ზედიზედ ორჯერ - 1953-1954 წლებში ავიდა საკავშირო ჩემპიონატის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ბატონი ვაჟა გახლდათ იმ დიდი ხუთეულიდან უკანასკნელი მოპიკანი, რომელმაც საკავშირო პირველობა სამჯერ მოიგო. 1952 წელს ექიმების დაუდევრობა რომ არა, ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებშიც იასპარეზებდა.

წლების სიმძიმის მიუხედავად, მხნედ გამოიყურებოდა, ღონისძიებას არ აცდენდა, განსაკუთრებით საქართველოს ნაკრების თამაშებზე მიუხაროდა. ამიერიდან ბატონი ვაჟა ჟღანბი, სამწუხაროდ, მხოლოდ წარსულში მოვიხსენიებთ, რადგან ამ ღვთისწიერმა კაცმა უკვე სამუდამო სასუფეველში დაიდო ბინა. ახლობლები, მეგობრები და საქართველოს საკალათბურთო ოჯახის წევრები მის სახელს არასდროს დაივიწყებენ.

ვაჟა ჟღანბი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ლეგენდარული კალათბურთელი და დიდებული პიროვნება

ვაჟა ჟღანბი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველი და გაზეტი

წინ 10 წელიწადია!

დიდი ინტერესით წაგიკითხე ა. წ. 5 დეკემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული წერილი სათაურით „თვალსაჩინო მაგალითი მომავალი თაობებისთვის“...

მერაბ, ვალერი და ლიანა ზუსბაიძე გალიდან

ეს ყველას გვჭირდება!

ბამბახბარბ თამაზ ქვლივიძის ინიციატივამ, რომ ქალაქის ცენტრში აღმართოს აღმშენებლის მოქრული ძეგლი და საქართველოს მოსახლეობამ მას ოქროს გვირგვინი დაადგას!

დიდი ხანია, დადასტურებულია, რომ სახელმწიფო წარმატებულად ვითარდება მხოლოდ მაშინ, როცა მოსახლეობის პირადი ინტერესები ემთხვევა სახელმწიფოს ინტერესებს.

თუ ვინმე იტყვის, დღეს ჭირს ცხოვრება, რადროს მოქრული ძეგლიაო!, მათ გასაგონად აღვნიშნავთ — იმიტომ ჭირს ცხოვრება, რომ, თუ ვინმე უნდა აიღოს მთავრობამ მაგალითი, არ იცის, და სწორედ ყველაზე საუკეთესო და თვალსაჩინო მაგალითი თვით დავით აღმაშენებელია!

მოქრული ძეგლის დადგმა და ეროვნული პანორამის მოწყობა, იქნებ მართლაც გახდეს საქართველოს აღორძინების დასაწყისი.

ბივი ბატია, ტექნიკისა და ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



გმირთა უკვლავსაყოფად

დედაქალაქის გულში აღმართოთ ძეგლი მოქრულ აღმშენებლისა, თავსა დაედგას ოქროს გვირგვინი, ოთხივე მხრიდან ელვარებისა.

გმირებს სამშობლოს თავდადებისთვის გვერდს პანორამა აცისკროვნებდეს, უამთა დინების გამოცვლებებისთვის სამარადისოდ გაბრწყინდებოდეს.

დიდ წინაპართა მოგონებისთვის შევამკოთ ირგვლივ იავარდებით; პაპის პაპათა დაფასებისთვის თქვენაც გმირებად აღიზარდებით.

ქვეყნის სახე გამოვკვეთოთ და გმირები გავიხსენოთ, ამავადარი საქართველო დღევანდელთა ვასახელოთ.


ჩვენი მკლავით, ჩვენი შრომით გავაბრწყინოთ მთა და ბარი რათა მხარე, შორს განთქმული, გახდეს ისევ საქებარი.

თამაზ ძვლივიძე

ეპიტაფია

ოქროს თაობის უკანასკნელი მოპიკანი

პაპა ჟღანდის სსოვნას



საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდენტი ლეონიძე მწუხარებითა და სინანულით იუწყება ბრწყინვალე სპორტსმენის, თბილისის დინამოს სახელოვანი ვეტერანის, კალათბურთელის, საბჭოთა კავშირის სამგზის ოქროსა და ორგზის ბრინჯაოს მედალოსნის, საბჭოთა კავშირის თასის ორგზის მფლობელის, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრის „სპორტის რაინდის“ ორდენის კავალერის — ბატონი პაპა ჟღანდის გარდაცვალებას.

ინფორმაცია

მოსკოვში ქართველმა ბიზნესმენმა ივანე შერვაშიძემ თავი მოიკლა. რუსული მედიის ინფორმაციით, ბიზნესმენის თვითმკვლელობა სასტუმროს სათვალთვალ ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს.



არსებული ინფორმაციით, ბიზნესმენმა წერილი დატოვა, რომელშიც სიკვდილის შემდგომ კრემაცია მოითხოვა. „სასურველია, ფერფლი შავ ზღვაში ან ბალტიის ზღვაში მიმოაბნოთ“, — ნათქვამია ბიზნესმენის წერილში.

„ჩაფორმული თამაშების“ საქმეზე საპროცესო შეთანხმება გაფორმდა

ქ.წ. ჩაწვობილი თამაშების საქმეზე ბრალდებულ მსაჯებთან პროკურატურა საპროცესო შეთანხმებას გააფორმებს. თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე, საპროცესო პირობებთან დაკავშირებით, ბრალდებულებმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს. ოფიციალურად შეთანხმება 22 იანვარს გაფორმდება. შემდგომი პროცესი, 22 იანვარს, 14.00 საათზე გაიმართება. დაცვის მხარემ პროცესის გადადება ტექნიკური დეტალების მოგვარების მიზნით ითხოვა. როგორც პროკურორმა ზვიად ფხაკაძემ განაცხადა,

ბრალდებისა და დაცვის მხარეს შორის მიღწეული შეთანხმება არაერთგვაროვანია. კერძოდ, პროკურორის განმარტებით, ბრალდებულებს, რომელთა წინააღმდეგ ბრალი ერთი ეპიზოდით არის აღძრული, 9-თვიანი პატიმრობა, 3-წლიანი პირობითი მსჯავრი და 3-ათასლარიანი ჯარიმა განესაზღვრათ. ხოლო ორი პირის მიმართ, ვისაც ბრალი მხოლოდ ერთი ეპიზოდით არ აქვთ წარდგენილი, შეთანხმების პირობები უფრო მკაცრია, კერძოდ, პროკურორის განმარტებით, ბრალდებულთათვის შეთანხმებაში ჯარიმის ოდენობად განისაზღვრა 15 ათასი ლარი, ერთწლიანი თავისუფლების აღკვეთა და სამი წლით პირობითი მსჯავრი. კიდევ ერთი ბრალდებულის მამუკა ურუშაძის შემთხვევაში ჯარიმის თანხა იქნება 10 ათასი ლარი, ერთი წელი თავისუფლების აღკვეთა და სამი წლით პირობითი მსჯავრი.

ამასთან, ყველა ბრალდებულს საპროცესო პირობების მიხედვით ორი წლით შეეზღუდათ საქმიანობის უფლება. კომერციული მოსყიდვის საქმეზე 8 მსაჯი 24 სექტემბერს დააკავეს.

პატიმართა გარდაცვალების მაჩვენებელი გასულ წელთან შედარებით 2014 წელს არ გაზარდილა

როგორც სასჯელაღსრულების მინისტრმა გიორგი მღებრივილიმა განაცხადა, შარშან წლის განმავლობაში 25 პატიმარი გარდაიცვალა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი წელსაც 25-ია. რაც შეეხება უშუალოდ სუიციდის შემთხვევებს, მინისტრის თქმით, სუიციდის ერთი მეთი შემთხვევა დაფიქსირდა 2014 წელს. კერძოდ, გასულ წელს სუიციდის 6 შემთხვევა დაფიქსირდა, წელს კი — 7.

აღნიშნული განცხადება სასჯელაღსრულების მინისტრმა სახალხო დამცველის ანგარიშის კომენტარებისას გააკეთა, რომლის მიხედვით ომბუდსმენის 2014 წლის

საქმიანობის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სიკვდილიანობის მაჩვენებელი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მაღალია.

„როცა სიკვდილს ეხება საქმე, უხერხულია ამაზე საუბარი, თითოეული შემთხვევა ჩვენთვის და ყველასთვის არის ტრაგედია. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ გარდაცვალების ფაქტები. რაც შეეხება სუიციდს, სუიციდის პროგრამები უკვე მოქმედებს სასჯელაღსრულების გარკვეულ დაწესებულებებში, თუმცა, ჩვენ გვინდა, რომ მოვიცვათ დაწესებულება, რათა აღარ დაფიქსირდეს სუიციდის შემთხვევა“, — განაცხადა სასჯელაღსრულების მინისტრმა გიორგი მღებრივილიმა.

ქაჩეთი ქაჩა სოლი მოკლა და თვითმკვლელობა სცადა

თელავის რაიონის სოფელ რუისპირში მკვლელობა მოხდა. 1956 წელს დაბადებულმა მამაკაცმა, თ.ა.-მ ურთიერთშეღებულ პარაკების ნიდაგზე საკუთარი მეუღლე, 1978 წელს დაბადებული ე.მ. ცივი იარაღით დაჭრა. ქალი მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა.



როგორც გარდაცვლილის მეზობლები ყვებიან, მკვლელობა ეჭვიანობის ნიდაგზე მოხდა. მეუღლის დაჭრის შემდეგ თ.ა.-მ თვითმკვლელობა სცადა. ამჟამად ის დაკავებულია, თუმცა, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ, თელავის საავადმყოფოში იმყოფება.

შეხვედრებულა პერიოდი ქორწინების დასრულება. ყველაზე, მილოცვები, წამოახილები - „კოცნა!“ და დაინყო ახალი ცხოვრება. როგორი იქნება იგი? საიდან ჩნდება უბედური ოჯახები?

ის ასეთი არ ყოფილა! თამილამ და ნიკამ ერთმანეთი ინსტიტუტები გაიცნეს, ქორწილი ორი წლის შემდეგ გადაინადეს. ქორწინებიდან სამი თვის შემდეგ კი ახალგაზრდა ცოლი და ქმარი საოჯახო თერაპევტის მიღებაზე იყვნენ.

თამილას ნაუბარი: „ვფიქრობდი, რომ ერთმანეთის შესახებ ყველაფერი ვიცოდი. მაგრამ ეს სულაც არ აღმოჩნდა ასე... ერთი ამბავია, შეხვედრის შემდეგ ადამიანს, მეორე - იცხოვრო მასთან ერთ ოჯახად. იცით, მივხვდი, რომ

ვე ქრება. დილით ადრე არ დგება - იღვიძებს 10 საათზე, უფრო ადრე არა! საუზმეს არ მიშვადებს! დილით მასთან საუბარი საერთოდ შეუძლებელია, ცუდ ხასიათზეა, სანამ ყავას არ დავლევს. წარმოგიდგენიათ - ყოველ დღე ასეა?!“

საუბარი მეუღლეებთან ცალ-ცალკე მიმდინარეობდა. საუბრის ბოლოს თითოეულმა გააკეთა დასკვნა: „ვინმეს რომ ეთქვა, აი, ასეთმა რამეებმა შეიძლება გააფუჭოს ოჯახური ცხოვრებაო, ჩვენ ხელს ჩაკეცივდით: განა ამას აქვს მნიშვნელობა?! მაგრამ როდესაც იწყებ ცხოვრებას ადამიანთან, ყველა მისი ჩვეულება თითქოს იზრდებაო, მას არ შეიძლება, არ მიექციო ყურადღება.“

და მაინც ახალგაზრდებს ერთმანეთთან გაუმართლდათ. ისინი ჭკვიანი ადამიანები აღმოჩნდნენ და, რაც მთა-

ცნობილი, - ეს მხოლოდ აისბერგის ზედა ნაწილია. სიღრმეში ბევრი წყალქვეშა ბეჭი და ყველაზე ნამდვილი საიდუმლო იმალება.

ქორწინების სწორედ ამ გარდამავალ პერიოდში ჩნდება პრობლემების უმეტესობა. და, უნდა ითქვას ყოველსა, იტანჯება გრძნობადობა. ქორწინებაში მას კლავს სწორედ წვერილობები (ისინი შეკრებილია ცოლებისა და ქმრებისგან) - ყოველთვის გაურეცხავი ფინჯანი, სიცილი საკუთარ ხუმრობებზე, წინდების დაყვანა კართან, ხვრინვა, ერთი და იგივე რამის მოყოლა სხვადასხვა კომპანიებში, მაციაში შექრომა ღამით. მაგრამ მნიშვნელოვანია, დავინახოთ სხვაობა მეუღლის ნაკლოვანებასა და ემოციურ კურსს შორის, რომელსაც ქორწინება მიჰყვება. გამაღიზიანებელ ჩვეულებებს ადვილად შეგვიძლია გავართვათ თავი. ხვრინვისგან გავთავისუფლებით, თუ მივმართავთ ოტოლარინგოლოგს, რომელიც განსაზღვრავს ხვრინვის მიზეზს და გვიჩვენებს, როგორ გავთავისუფლებთ მისგან. უფრო მაძლირის ვაზში მი დავიცავს მაცივარს მშვიერი მამაკაცის ღამის თავდასხმის-

# დედოფალი „ფოლადის რგოლში“

დიდ ბრიტანეთში დააკავეს ოთხი ისლამისტი, რომლებიც დედოფალ ელისაბედ II-ზე თავდასხმას ამზადებდნენ.

გაერთიანებული სამეფო შოკშია: 9 ნოემბერს, კვირას, დალუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ხსენების დღეს, ოთხ ისლამისტს დედოფლის დანიტ მოკვლის გეგმა სისრულეში უნდა მოეყვანა!

„6-დან 7 ნოემბრის ღამით დააპატიმრეს ოთხი კაცი, რომლებიც ამჟამად ციხეში იმყოფებიან. ლონდონის პოლიციის ოფიცრები აქტიურად ურთიერთობენ ანტიტერორისტული ქვედანაყოფებისა და MI5-ის თანამშრომლებთან. დაკავებულები ინტენსიურად იკითხებიან, მათ სახლებში ჩხრეკები ჩაატარეს. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე პოლიცია ჯერჯერობით მზად არ არის, საქმის ყველა წერილობრივ გასამართლებლად“, - ნათქვამია სკოტლანდ-იარდის განცხადებაში.



შეთქმულები, რომლებსაც თვალყურს დიდი ხნის მანძილზე ადევნებდნენ, სხვადასხვა ადგილას, ყოველგვარი წინააღმდეგობის განვიწყის გარეშე დააკავეს. მათ შორის ყველაზე უმცროსი იუსუფ საიდი, ბუკინჰემში შირში, 160 ათასი გირვანქა სტერლინგის ღირებულების სახლში დააკავეს, სადაც პაკისტანიდან დაბრუნების შემდეგ დედასთან ერთად ცხოვრობდა. მეზობლებმა პოლიციელებს განუცხადეს, რომ თანატოლებთან რამდენიმე შეხლა-შემოხლის შემდეგ, ყმანვილის დედას განრისხებული მშობლებისთვის უთქვამს: „გული მწყდება მომხდარზე, ჩემი შვილი ახალგაზრდაა და ახლა მისთვის რწმენის აღმოჩენის დროა“. იმ ხანებში იუსუფმა წვერი მოუშვა და ტრადიციული მუსლიმანური სამოსელის ტარება დაიწყო.

არადა, წლეულს აპრილში ეს სახლი უკვე შემოწმეს - იუსუფ საიდი ჯიჰადისტებთან კავშირში იყო ეჭვიმტანილი. ყველაზე უფროსი ტერორისტის შესახებ კი უფრო ცოტა რამაა ცნობილი: 27 წლის ომარ ჰუსეინი საუბერმარკეტში მუშაობდა, იანვარში სირიაში იყო წასული, სადაც რადიკალ ისლამისტებს მიემხრო. ამასობაში ტერორისტების პოტენციურმა მსხვერპლმა, 88 წლის დედოფალმა ელისაბედ II-მ, საფრთხის მიუხედავად, მაინც მიიღო მონაწილეობა საზოგადოებრივ ცერემონიაში და, ტრადიციისამებრ, გვირგვინით შეამკო დალუპულ სამხედრო მოსამსახურეთა მეორიადი. თუმცა, ნათქვამია, სიფრთხილეს თავი არ სტკივავს, პოლიციამ ლონისძიების ჩატარების ადგილი საგანგებო რეჟიმის ზღუდეებით შემოღობა, რომელიც ჟურნალისტებმა „ფოლადის რგოლად“ მონათლეს.

ნიკო ალექსანდრი

## ცხოვრება ქორწინების შემდეგ

რა უნდა ვხედავთ, რომ მიუღწევად გავხილავთ არ დავრჩეთ...



ოჯახი - არც უარესია და არც უკეთესი, უბრალოდ ყველა ეს ურთიერთობა სხვადასხვაგვარია. პირველ თვეებში ზოგჯერ მეჩვენებოდა ხოლმე, რომ ვიღაც უცნობთან ვცხოვრობ! ნიკა სალამობით კომპიუტერშია ჩაფლული. ვერაფერს გააკონებ. აბაზანაში შუქი არ ქრება და როდესაც იქიდან გამოდის, წყალს იატაკზე არ ამშრალებს. და, მაპატიეთ, უნიტაზს ჯავრისით არ ასუფთავებს. მისთვის ამის თქმა მეუხერხულება, თვითონ ვწმენდ, რა თქმა უნდა, მაგრამ, იცით, მთელი სხეული შიგნიდან მიკანკალავს...“

ნიკას ნაუბარი: „მამაჩის ბიურომდე ერთად არ გვიცხოვრია. ქორწინების შემდეგ ჩემმა მშობლებმა ბინა გვიქირავეს. და აქ აღმოჩნდა, რომ თამილა თურმე, ღამის პერანგში იძინებს. ვერ ვუფერხებდი საკუთარ თვალს, ადრე ის მას არ იცვამდა. არ მომწონს, როდესაც პერანგი აცვია, ალგზნება უმაღ-

ვარია, ერთმანეთის მოსიყვარულენი. ესე იგი დაეთანხმნენ ფსიქოლოგის წინადადებას - იმუშაონ თავი-ერთს და გააკეთეს ეს - შეძლეს, შერიგებოდნენ პარტნიორის ნაკლოვანებებს და ყურადღება გაემხვილებინათ მის ღირსებებზე. აგრეთვე ორივე იყო მზად, ემუშავათ ქორწინების გაუმჯობესებისთვის და წასულიყვნენ კომპრომისზე.

ოჯახი გადარჩა და შენარჩუნებული იქნა.

### ფარისევლები

მამბრამ ყველას როდი შეუძლია, დაგიფეროს და გარდაქმნას თავისი თავი. ბევრს მიაჩნია, რომ ახლა, როდესაც პარტნიორი მაგრადაა „დაბმული“ მონაპოვით ქორწინების შესახებ, მათ თავად შეუძლიათ, მოდუნდნენ და უფრო მეტად გამოავლინონ თავიანთი ჭეშმარიტი არის. როგორი გულწრფელებიც არ უნდა იყვნენ ადამიანები ქორწინებამდე, ისინი ყოველთვის ცოტა თავს გვარჯუნებენ სხვაგვარად. მამაჩის ბიუროში მისვლა აძლევს მათ საშუალებას - ბოლო მოუღონ ასეთ რამეს. ეს შეიძლება სიურპრიზი აღმოჩნდეს ახალდაქორწინებულთათვის. სხვა ადამიანის ნაკლოვანებებთან შეჩვევა ძალისხმევას მოითხოვს. ორმა შეყვარებულმა არასოდეს იცის ყველაფერი ერთმანეთის შესახებ. ის, რაც მათთვისაა

### მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ

1. ერთმანეთს ეპყრობიან სიმპატიით;
2. ალტაცებული არიან ერთი-მეორით და აფასებენ ერთმანეთს;
3. თავს გრძნობენ ბუნებრივად, მშვიდად, მოშვებულად;
4. აღიარებენ იმ თვისებების ღირებულებას, რომლებიც მათ თავად არა აქვთ;
5. ენდობიან ერთმანეთს;
6. მეორე პარტნიორის ბედნიერებას მიიჩნევენ ისეთივე ბედნიერებად თავისი თავისთვის, როგორც საკუთარს;
7. მყარად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან ფიზიკური სიახლოვით;
8. შეუძლიათ, გაუზიარონ ერთმანეთს ყველაზე უარული გრძნობები და განცდები, წარმატებები და წარუმატებლობანი;
9. ეპყრობიან ერთმანეთს იუმორით;
10. ერთმანეთს მიიჩნევენ დამოუკიდებელ პლანეტებად და არა სატელიტებად.

### ციცხალი ანეკდოტები

ბიჭის მშობლები ქალაქგარეთ წავიდნენ ორი დღით. ბიჭმაც გადანიყვიტა, როგორმე გოგო შეეტყუებინა თავისთან: - წავიდეთ ჩემთან, მუსიკას მოვუღებოთ, - ეუბნება. - მოვუღებოთ? - და არაფერი არ მოხდება? - არა. - მაგრამ თუ არ მომეწონება? - მაშინ ადგები, ჩაიცვამ და წახვალ.

- ძალიშვილო, მოდი, უფასოდ წავიყვანო! მაინც ერთი გზა გვაქვს. - ოი, არა! მესინია! გმადლობთ, არა!




- კარგი, ფულს გადაგახდებიან, ათ დოლარს. - აბა, უფასოდ წავიყვანო? - კარგი, იყოს უფასოდ. - მერე თქვენ ჩემი ტაქსა იცით?

- რომღო დავეწერო ხელფასის ოდენობა, ციფრებით თუ ასოებით? - რამდენი გაქვთ ხელფასი? - 200 ლარი.. - მაშინ ცრემლებით დაწერეთ!

რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკი შეუერთდა რუსეთის სანაღმდეგო სანქციებს.

- მიხე, ერთიკულ სიზმარში დამესიზმრე. - მაგარი ვიყავი ლოგინში, ხომ? - მაგარი არა... მოხვედი და ყველაფერი გააფუჭე...



ავტორთა საპუბლიკაციო რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ანკლავიანის (ყოფილი პერომსკინის) ქ. 19

ინფორმაცია 66434

გამომცემელი: შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79

შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაქ)070.4(479.22) 5-323 ISSN 2233-3851

9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35

პასუხისმგებელი მდივანი მამუკა ვაჟაიძე 514 33-33-24